შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N2016/43-1

სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრსა და შპს „ენ-ჯი-ეს გრუპი"-ს შორის 2016 წლის 02 მარტს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2016/43 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი **31.03.2016 წ.**

ერთი მხრივ, **სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი** (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **ირაკლი ხელაძის** სახით და მეორე მხრივ **შპს „ენ-ჯი-ეს გრუპი"** (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად"), წარმოდგენილი დირექტორის **ნიკა ფიცხელაურის** სახით, მხარეებს შორის 2016 წლის 02 მარტს **გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2016/43** ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად ვაფორმებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრსა და შპს „ენ-ჯი-ეს გრუპი"-ს შორის 2016 წლის 02 მარტს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2016/43 ხელშეკრულების მე-7 მუხლი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3 დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი - 281,81 (ორას ოთხმოცდაერთი ლარი და ოთხმოცდაერთი თეთრი); საკუთარი სახსრები - 4118,19 (ოთხიათას ას თვრამეტი ლარი და ცხრამეტი თეთრი) ლარი.

8. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.
9. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრსა შპს „ენ-ჯი-ეს გრუპი"-ს შორის 2016 წლის 02 მარტს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2016/43 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მას დამოუკიდებლად იურიდიული ძალა არ გააჩნია.
10. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებელს.

მხარეები:

სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ირაკლი ხელაძე _____ მ.ა.

შპს ენ-ჯი-ეს გრუპი

დირექტორი

ნიკა ფიცხელაური _____ მ.ა.